2017-2018 სასწავლო წლის I სემესტრის ანგარიში

ახალი სასწავლო წელი ჩვეული აქტიურობით დაიწყო სკოლა "ანაბასისში". ჩატარდა პირველი პედაგოგიური საბჭოს სხდომა. სკოლა "ანაბასისის"დირექტორის ქეთევან ედიბერიძის, სკოლის ფასილიტატორების თამარ ბაქრაძის და ნინო როინიშვილის ხელმძღანელობით მოეწყო სამუშაო შეხვედრა პედაგოგებთან შიდა საგაკვეთილო დაკვირვების შესახებ.

დაიწყო ახალი სასწავლო წელი ... დილიდანვე სადღესასწაულო განწყობა სუფევდა სკოლა ანაბასისში.

მოსწავლეებს,მასწავლებლებსა და მათს მშობლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ქეთევან ედიბერიძემ და მამა სერაპიონმა, რომლის სამი შვილი სკოლა „ანაბასისის“ მოსწავლეა.

დამსწრე საზოგადოებას ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე დავით კელენჯერიძემ და ზესტაფონის „ეტალონმა“ მოსწავლემ ლუკა სამხარაძემ.

სკოლის დირექციის მიერ საპატიო დიპლომებით დაჯილდოვდნენ ის მოსწავლეები, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს გასული სასწავლო წელი.

მადლობის სიგელები გადაეცათ პედაგოგებს , სკოლის პოპულარიზაციისა და წარმატებული საქმიანობისათვის.

ახალი სასწავლო წლის დაწყებას განსაკუთრებულად მივულოცეთ ჩვენ პირველკლასელებს, რომლებმაც გულის ფანცქალით შემოაღეს სკოლის კარი და ეს დღე მათ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი იქნება.

ღონისძიება მშვენიერი მუსიკალური ნომრებით გაალამაზა სკოლის მომღერალთა გუნდმა.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა "ანაბასისის" მკვლევართა კლუბის პირველი შეხვედრა სამეცნიერო პიკნიკისათვის მზადებას დაეთმო.

უკვე რამდენიმე წელია სკოლა "ანაბასისის მკვლევართა კლუბი აქტიურ მონაწილეობას იღებს ილიაუნის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო პიკნიკებში.

2017 წლის 27 სექტემბერს კლუბმა მონაწილეობა მიიღო ქუთაისში გამართულ სამეცნიერო პიკნიკში, ხოლო 30 სექტემბერს სკოლის ახალგაზრდა მკვლევარები უკვე თბილისში, ვაკის პარკში ვიზიტიორების წინაშე საინტერესო და სახალისო ცდებითა და ექსპერიმენტებით წარსდგნენ.

2017 წლის სამეცნიერო პიკნიკზე წარმოდგენილი 36 კარავი დაეთმო უნივერსიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სასწავლო დაწესებულებებს, სკოლებს, მათ შორის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. წარმოდგენილმა ორგანიზაციებმა საინტერესო ექსპერიმენტები ჩაატარეს და ინტერაქციული გამოფენები წარმოადგინეს.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სამეცნიერო პიკნიკისთვის სპეციალურად დადგმული სპექტაკლი „ყვავილების ალქიმია“. სცენა ასევე დაეთმო „ექსპერიმენტორიუმს“, რომელმაც სახალისო და საინტერესო შოუპროგრამა წარმოადინა . მოეწყო სამეცნიერო კაფე, სადაც ილიაუნის მეცნიერებმა წაიკითხეს ლექციები საინტერესო თემებზე.

ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკი არის საქართველოში ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომელიც ღია ცის ქვეშ მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით ყოველწლიურად იმართება. ღონისძიება უპირველესად განკუთვნილია სკოლის ასაკის მოზარდებისთვის, თუმცა საინტერესოა ნებისმიერი ასაკის ადამიანებისთვისაც. პიკნიკის მთავარი ამოცანაა სახალისო ფორმით წარმოაჩინოს თანამედროვე მეცნიერების მიღწევები, განსაკუთრებით – საბუნებისმეტყველო დისციპლინებში.

წელს ილიაუნის სამეცნიერო ფესტივალი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებული მეცნიერებისა და ინოვაციების თბილისის ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა.

2017წლის 25-? სექტემბერი შეფასების ჯგუფის წევრთა ტრენინგი სკოლა "ანაბასისში".ტრენერი ლანა კილაძე

5 ოქტომბერი მასწავლებლის დღე- ანაბასისელების ორიგინალური, სასიამოვნო, სიყვარულით და სითბოთი სავსე სიურპრიზი მასწავლებლებს.

ამ დალოცვილ ცისქვეშეთში ყველაფერი ურთიერთკავშირშია: ცოცხალი არსებები, ბუნება, განცდები, ურთიერთობები... თითქოს ერთმანეთში ვირეკლებით, ერთმანეთს ვიმეორებთ:

„ამბობენ, მოძღვარი ჩიტებსაც კი ჰყავთო, თორემ კაცს რა ძალუძს, მეკვლე თუ არ ჰყავსო.“

დიახ, მასწავლებლობა უდიდესი საიდუმლოს გამხელას უნდა ჰგავდეს და ეს მარტო და მარტო საგნის ცოდნა კი არ არის, არამედ ღვთით მონიჭებული უნარი, სხვას გადასცე ცოდნა და ისე შეაყვარო საგანი, რომ განცვიფრებულმა იფიქროს: ეს რომ არ მცოდნოდა, რა მეშველებოდა, ამ ჩემს ცხოვრებას რა ფასი ექნებოდაო...

... მასწავლებელი ხომ ის ადამიანია, რომელიც შენი ცხოვრების წლების მეგზურია, იგი მოწმეა პატარების პირველი შეშინებული ასოებისა, მხართეძოზე ჯიუტად გადაწოლილი ციფრებისა, თხუპნია კალმების, წვერწატეხილი ფანქრების, დაღეჭილი საშლელი რეზინების, შარვლის გაფუჭებული შესაკრავების, დაფანტული სასწავლო ნივთების, მორყეული ურჩი კბილების, პირველი მოწონების, ავარდნილი ვარდების დანახვის, პირველი მარცხისა და დროისა, რომელსაც არ ადარდებს დრო.

დრო კი მალე გარბის... სანამ ერთად ვართ მოვეფეროთ ერთმანეთს და შევეცადოთ ყოველი დღე გავალამაზოთ ჩვენი ურთიერთობებით...

....სწორედ ამ სურვილით მოაწყვეს ანაბასისელებმა პატარა სიურპრიზი თავიანთი პედაგოგებისთვის ,რათა მათთვის მასწავლებლის დღე გაელამაზებინათ ...

2017 წლის 10 ოქტომბერს სკოლა „ანაბასისში“ შემოდგომის ზეიმი გაიმართა,რომელზედაც უკვე რამდენიმე წელია ტრადიციულად ავღნიშნავთ „ანაბასისობას“, წელსაც გამორჩეოდა ჩვენი ღონისძიება ხალხმრავლობითა და საპატიო სტუმრებით, საინტერესო ნომრებით და შემოდგომის ტრადიცული სავსე სუფრებით; კლასებმა წარმოადგინეს სასურველი ქვეყნები და საქართველოს კუთხეები,მათთვის დამახასიათებელი წესჩვეულებებითა და სამზარეულოთი.

20 ოქტომბერს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში წარმატებით განხორციელდა პროექტი #U18GEORGIA

სამოქალაქო კლუბის წევრმა მოსწავლეებმა საინტერესოდ ჩაატარეს იმიტირებული არჩევნები. მათ კარგად გაართვეს თავი მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. სამოქალაქო განათლების მასწავლებლის თეა სამხარაძის დახმარებით შესაბამისად მოეწყო საარჩევნო უბანი.

არჩევნების მიმდინარეობა გაშუქდა ადგილობრივი ტელევიზიით.

მადლობა თითოეულ მოსწავლეს, სკოლის დირექციას და პედაგოგებს მხარდაჭერისათვის. U18 გულისხსმობს 18 წლის ქვემოთ ასაკის ახალგაზრდებში საარჩევნო კულტურის ჩამოყალიბებას.#CivilSocietyCooperation.

1 ოქტომბერს ხანდაზმულთა საერთაშორისო დღე აღინიშნება. 2012 წლის სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში 682 900 ხანდაზმული ცხოვრობს და მათი უმეტესობა სიღარიბის ზღვარზეა. 1 ოქტომბერი ხანდაზმულთა საერთაშორისო დღედ 1990 წელს ხანდაზმულთა პრობლემებისადმი მიძღვნილმა გაეროს მსოფლიო ასამბლეამ გამოაცხადა. გაეროს პრინციპია სრულყოფილი გახადოს ხანშიშესული ადამიანების

ცხოვრება და ხანდაზმული ადამიანების მიერ, საზოგადოების ცხოვრებაში შეტანილი წვლილის შეფასებით, მოუწოდებს სახელმწიფოებს ჩართონ ისინი, როცა ეს შესაძლებელი იქნება, თავის ეროვნულ პროგრამებში. იგივე დღე - 1 ოქტომბერი, საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 27 სექტემბრის N467 ბრძანებულების თანახმად, ხანდაზმულ ადამიანთა დაცვის დღედ არის გამოცხადებული ჩვენს ქვეყანაში.

კლუბ "ბიოს" წევრების ინიციატივით სკოლა ანაბასისის მოსწავლეებმა შეაგროვეს სურსათი და საყოფაცხოვრებო ნივთები, მოიძიეს ახლოს მცხოვრები რამდენიმე ხანდაზმული ადამიანი და შესაძლებლობის ფარგლებში მცირეოდენი დახმარება აღმოუჩინეს მათ.

პროექტი "ჩვენ და იაკობი".სკოლა ანაბასისში იაკობ გოგებაშვილის იუბილესთან დაკავშირებით დაწყებითი კლასების საგნობრივმა კათედრამ პროექტის ფარგლებში ტრადიციული კვირეული დაგეგმა.

შედგა კათედრის სხდომა და ერთობლივი ძალისხმევით შემუშავდა საინტერესო სამოქმედო გეგმა. დაიგეგმა კლასის საათები. შეირჩა განსახორციელებელი აქტივობები.

პროექტის აქტუალობა: მშობლიური ენის შესასწავლად შექმნილი ყველა სახელმძღვანელო ეფუძნება იაკობ გოგებაშვილის დედაენას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია უკეთ გავეცნოთ დედაენის შემქმნელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

I ა კლასში გაიმართა ლიტერატურული საღამო " იაკობმა მისცა ფრთები ქართველს ცაში ასაფრენად".პატარებმა მხატვრულად და საინტერესოდ წარმოადგინეს იაკობ გოგებაშვილის შემოქმედება და გააცოცხლეს პერსონაჟები.

პედაგოგი აზა მალაღურაძე

სკოლა "ანაბასისში" იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში I ბ კლასის მოსწავლეები აქტიურად ჩაერთვნენ.

კლასში საზეიმოდ აღინიშნა ანბანის შემობრძანება.

წარმოდგენილი აქტივობები სახალისო და საინტერესო იყო. პატარებს გზა დაულოცა სკოლის დირექტორმა ქალბატონმა ქეთევან ედიბერიძემ.

პედაგოგი თამარ ვეფხვაძე

პროექტში აქტიურად იყო ჩართული სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეები და მასწავლებლები.

28 ოქტომბერი. "ბოტიჩელის სილამაზე , კარავაჯოს სინათლე" -სასწავლო ექსკურსია საქართველოს ეროვნულ გალერეაში და მოგზაურობა ხელოვნების ულამაზეს სამყაროში.

შევიგრძენით რენესანსი...

ვუსმენდით, ვხედავდით, გვჯეროდა, რომ მართლაც ფუნჯის ჯადოქარია სანდრო ბოტიჩელი. მისი ნაზი ქმნილება"ვენერა" კი ფერწერული მშვენიერების ნიმუში, ხოლო კარავაჯოს ნაშრომები ბაროკოს სტილითა და სინათლით გვავსებდა. ის არ ჰგავს ზეციურ ნათებას,ეს სულ სხვა ნათებაა, "კარავაჯოსეული"....

ხელოვნების პედაგოგი ნანა გიორგაძე

9-10 ნოემბერს ანაბასისის პირველკლასელები თავიანთ პედაგოგებთან ერთად დიდი სიხარულით და ინტერესით ჩაერთვნენ პროექტში:" ჩემი პირველი ნაბიჯები მხარეთმცოდნეობის მუზეუმში".

მრავალი სახალისო და საინტერესო აქტივობით მოხიბლული პატარები შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდნენ თავიანთ სკოლაში. პედაგოგები აზა მალაღურაძე და თამარ ვეფხვაძე.

სკოლაში ფუნქციონირებს ლიტერატურული კლუბი "კარცერი ლუქსი". დღეს ხშირად საუბრობენ იმის თაობაზე,რომ მოზარდები დაშორდნენ წიგნს.

კლუბის მიზანი სწორედ ესაა,არ მოწყდეს მოსწავლე წიგნს,პირიქით თამამად შეაბიჯონ სასიტყვეთში... რა თქმა უნდა, ტექნიკის წინსვლის პირობებში უარს ვერ ვიტყვით ინტერნეტსივრცეზე, მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს , რომ : "წიგნები აზრის ხომალდებია", ჟამთა ტალღებში რომ მიცურავენ და ზრუნვით გადასცემენ ძვირფას ტვირთს თაობიდან თაობას... კლუბის წევრებმა , საინტერესო პროექტი წარმოადგინეს:

"ვუერთდებით ჭკვიან სამყაროს ,

არა ომს, არა ძალადობას!"

ოქტომბერში გაიმართა სკოლა ანაბასისის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრთა მორიგი სხდომა და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა სასკოლო კლუბების მიხედვით.

2017 წლის 10 ნოემბერს სკოლა ანაბასისში ნორჩ მკვლევართა კლუბ "ანაბასისის" და კლუბ "ბიოს" წევრებმა მეცნიერების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გამართეს კონფერენცია თემაზე: "ნაბიჯ-ნაბიჯ მეცნიერებისაკენ".

კლუბის წევრებმა პრეზენტაცია გააკეთეს მეცნიერების განვითარების შესახებ უძველესი დროიდან დღემდე, მათ უმცროს მეგობრებს გააცნეს ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულის მიხეილ კელენჯერიძის შესახებ მეტად საამაყო და საინტერესო ისტორია.

კონფერენციაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი კლუბების კურატორი ქალბატონები ქეთევან ედიბერიძე და თამარ ბაქრაძე. კონფერენციის ბოლოს ქალბატონმა ქეთევანმა ხაზგასმით აღნიშნა,რომ იმედია მომავალიც არაერთხელ ვიამაყებთ ჩვენი მოსწავლეების წარმატებებით.

14 ნოემბერი დიაბეტთან ბრძოლის მსოფლიო დღეა , ეს დღე წარმოადგენს მნიშვნელოვან შეხსენებას მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის, რომ ამ დაავადების გავრცელების ზრდამ უკვე სტაბილური ხასიათი მიიღო.

დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის თაოსნობით დიაბეტთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აერთიანებს მსოფლიოს 145-ზე მეტ ქვეყანას და მოიცავს მილიონობით ადამიანს შაქრიანი დიაბეტისა და მისი გართულებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. დიაბეტის მსოფლიო დღის აღნიშვნა დაავადებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს მოიცავს და მიუთითებს სამთავრობო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ფარმაცევტულ კომპანიებს, ექიმებს, ძალისხმევის გაერთიანებისკენ, რათა შეცვალონ დიაბეტით დაავადებულთა მდგომარეობა უკეთესობისკენ.დიაბეტის მსოფლიო დღე დიაბეტის საერთაშორისო ფედერაციის და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით და დიაბეტთან ბრძოლის კოორდინაციის მიზნით 1991 წლიდან აღინიშნება .

დიაბეტის დღესთან დაკავშირებით კლუბი "ბიოს " წევრებმა (კლუბის კურატორი ბიოლოგიის მასწავლებელი თამარ ბაქრაძე) ჩაატარეს კონფერენცია, რომელზეც წარმოადგინეს თავიანთი დამუშავებული თემები: დიაბეტის გამომწვევი მიზეზები, მკურნალობა, სტატისტიკა მსოფლიოსა და საქართველოში, პრევენციული ღონისძიებები.

კონფერენციას სკოლის დირექტორთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან ერთად ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ენდოკრინოლოგი ქ–ნ მარიკა კარანაძე და ზესტაფონის ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელი ქ–ნ თამარ გველესიანი,ეპიდემიოლოგები ქ-ნ თეა ფირჩხაძე და ქ-ნ- მადონა ლაბაროვსკი.

15 ნოემბერი, 2017 წელი. სკოლა "ანაბასისში" დილიდანვე დიდი სამზადისი იყო. ჩატარდა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის "ეტალონის" შესარჩევი ტური,რომელშიც დიდი ინტერესით და მონდომებით ჩაერთვნენ ჩვენი სკოლის მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე კლასის

მოსწავლეები.გამოვლინდნენ გამარჯვებულები ირმა გოცაძე,ნინო ტალახაძე,ირაკლი ჩიბურდანიძე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ეტალონის ფინალურ ტურში. სამწუხაროდ წელს ვერ მოხდა ჩვენი მოსწავლეების მიერ საკუთარი შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა,რასაც იმედია მომავალში გამოვასწორებთ.

16 ნოემბერი ტოლერანტობის საერთაშორისო დღე "ანაბასისში".

სკოლა "ანაბასისის" მეცხრე მეათე კლასის მოსწავლეებმა სამოქალაქო განათლების გაკვეთილზე ტოლერანტობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით საინტერესო პრეზენტაცია გამართეს.მოსწავლეებმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღეს თავისუფლების, გულისხმიერების, მიმტევებლობის, ევროპული ლიბერალიზმის კულტურაზე ისაუბრეს, ვიდეოს ნახვის შემდეგ გამართეს დისკუსია თემაზე:"ყველა განსხვავებულია, ყველა თანასწორია"

28 ოქტომბერს საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის "ეტალონის" ხელმძღვანელი ბატონი გოჩა ტყეშელაშვილის ესტუმრა სკოლა "ანაბასისს"და გასული სასწავლო წლის რაიონის "ეტალონი მოსწავლე ლუკა სამხარაძეს სიმბოლური საჩუქარი გადასცა.

11.12.2017წწ. ,,საგანმანათლებლო გარემო და თანამედროვე საგანმანათლებლო მეთოდები ლიტვის სკოლებსა და ტაურაგეს რაიონში“-ასეთი სახელწოდების პრეზენტაციით წარსდგა მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლების წინაშე ლიტვიდან დაბრუნებული ქალბატონი ქეთევანი,სადაც იგი ზესტაფონის დელეგაციასთან ერთად მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა .

16.12.2017 წ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ეტალონის შემოდგომის სეზონის დასკვნითი ღონისძიებასა და Izrune.ge -ს პრეზენტაციას დაესწრო სკოლა ანაბასისის წარმომადგენლები ქალბატონი ქეთევან ედიბერიძის ხელმძღვანელობით,მოხდა შეხვედრა ლიტვის ელჩთან,რომელიც მოვიწვიეთ ჩვენს სკოლაში.

სპორტი- 2017 წლის 16 და 17 დეკემბერს თურქეთის ქალაქ სამსუნში გამართულ ჭიდაობა ძიუდოს დიდ საერთაშორისო ტურნირზე 37კგ წონით კატეგორიაში I ადგილი დაიკავა სკოლა "ანაბასისის" VII კლასის მოსწავლე გაგა ჯუღელმა,ხოლო 60 კგ წონით კატეგორიაში III ადგილი X კლასის მოსწავლე რამინი მჭედლიძემ. წარმატებები ჩვენს ჩემპიონებს!

პედაგოგი კობა სვიანაძე

29.12.2017წწ.მხიარული,სასიამოვნო და ლამაზი მუსიკალური ნომრებით დატვირთული შემოქმედებითი საახალწლო ღონისძიება სკოლა "ანაბასისში" თეა მიქაბერიძის ხელმძღვანელობით.

ყველას გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს საუკეთესო სურვილებით!

ჩატარებული გაკვეთილები:

27 ოქტომბერი-ძალიან საინტერესო გაკვეთილი II ა კლასში,რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

პედაგოგი ხათუნა წითელაშვილი.

15.11.2017წწ.სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში იაკობ გოგებაშვილის იუბილესთან დაკავშირებული კვირეულის ფარგლებში III ა კლასში ჩატარდა გაკვეთილი თემაზე"იაკობ გოგებაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ".

პედაგოგი შორენა მუმლაძე

15.11.2017წწ.სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში იაკობ გოგებაშვილის იუბილესთან დაკავშირებული კვირეულის ფარგლებში IV ბ კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე"იაკობ გოგებაშვილის"ცხოვრება და მოღვაწეობა .

პედაგოგი თეა გურაბანიძე

22 ნოემბერი-ძალიან საინტერესო გაკვეთილი III ბ კლასში,რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

პედაგოგი ლეილა გიორგაძე

14.12.2017წწ.სპს თავაძე და კომპანია სკოლა "ანაბასისის" II ბ კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე "თაფლის წვეთი", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.

პედაგოგი ვერა ნებიერიძე.

15.12.2017წწ.სპს თავაძე და კომპანია სკოლა "ანაბასისის" IV ბ კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე "ბიბლიოთეკა-ესაა ადამიანის ყველა სულიერი სიმდიდრის საგანძური".

მოსწავლეები გაეცვნენ ოტია იოსელიანის ცხოვრებას და მოღვაწეობას, წაიკითხეს "დაჩის ზღაპრები".

"მსოფლიოში ყველაზე მამაცი ბავშვი",როგორც იაპონელებმა უწოდეს დაჩის.

იმ ქართულ წიგნებს შორის ,რომელიც იაპონურ ენაზე ითარგმნა, ერთ-ერთი "დაჩის ზღაპრებია".

პედაგოგი თეა გურაბანიძე.

სპს თავაძე და კომპანია სკოლა "ანაბასისის" III ა კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე "ძმობა"", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.

პედაგოგი შორენა მუმლაძე.

2017 წლის 21 დეკემბერს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის IIგ კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე "უტკბილესი და უმწარესი", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო სახალისო,საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში.გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.

პედაგოგი ანა ჩუბინიძე

22. 12.2017წწ.სპს თავაძე და კომპანია სკოლა "ანაბასისის" IV ბ კლასში ჩატარდა შემაჯამებელი გაკვეთილი სამოქალაქო თავდაცვასა და უსაფრთხოებაში თემაზე "დემოკრატია იწყება ჩვენით".

მოსწავლეებმა საინტერესოდ შეაჯამეს და წარმოადგინეს სემესტრის მანძილზე შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

პედაგოგი თეა გურაბანიძე.

2017 წლის 26 დეკემბერს სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის IIა კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი თემაზე "პაპა და ყალიონი", რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

გაკვეთილი დატვირთული იყო სახალისო,საინტერესო და შემოქმედებითი აქტივობებით.

პედაგოგი ხათუნა წითელაშვილი

28დეკემბერი-საინტერესო და წარმატებული გაკვეთილი "ანაბასისის" III ბ კლასში,რომელზეც დაკვირვებას ახორციელებს სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი. გაკვეთილის თემა:"ზამთარი".

პედაგოგი ლეილა გიორგაძე

28.12.2017წწ.სკოლა "ანაბასისის" VI ა კლასის მოსწავლეთა საკლასო პროექტის " მსოფლიოს

ქვეყნების საახალწლო ტრადიციები" პრეზენტაცია.

პედაგოგი ნინო როინიშვილი.

სკოლაში მოქმედი კლუბები: სკოლა ანაბასისში 2017-2018 სასწავლო წლის დასაწყისში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის საერთო სხდომაზე დადგინდა,რომ მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით სკოლა „ანაბასისში“ ჩამოყალიბებულიყო შემდეგი კლუბები:

მკვლევართა კლუბი "ანაბასისი" კურატორი ქეთევან ედიბერიძე,

კლუბი "ბიო" კურატორი თამარ ბაქრაძე,

კლუბი "კარცერი-ლუქსი"კურატორი მარეხ ფორჩხიძე,

სამოქალაქო კლუბი" აქტიური თაობა" კურატორი თეა სამხარაძე,

ინტელექტუალური კლუბი "მოაზროვნე" კურატორი ნინო როინიშვილი,

კლუბი "Мостик в Россию",კურატორი მარინა კაპანაძე,

კლუბი"English Club",კურატორი ეკატერინე ჩაჩიბაია,

"ნორჩ მკითხველთა" კლუბი კურატორი შორენა მუმლაძე.

სკოლაში ასევე მიმდინარეობს საწრეო მუშაობა შემდეგ საგნებში:

დაწყებითი საფეხურის მათემატიკა-მასწავლებელი შორენა მუმლაძე,

რუსულ ენაში-მასწავლებელი მარინა კაპანაძე,

ინგლისურ ენაში- მასწავლებელი ეკატერინე ჩაჩიბაია.